

შპს „მზერო“ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

შპს „მზერო“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

შპს „მზერო“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

1. სრული შემოსავლების ანგარიშგება;
2. ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ;
3. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება;
4. ანგარიშგება კაპიტალის მოძრაობის შესახებ;
5. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები და შენიშვნები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერთი დასრულებული წლისათვის

(ლარი)

	<u>2021</u>	<u>2022</u>
ამონაგები	7 717 685	8 097 832
თვითღირებულება	(5 747 935)	(6 009 442)
სხვა ხარჯები	(545 217)	(163 282)
ფინანსური ხარჯი	(208 251)	(148 329)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული	(197 369)	258 332
<u>მოგება/ზარალი</u>	<u>1 413 651</u>	<u>2 035 111</u>

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით .

დირექტორი
მთ ბუღალტერი



ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2022 წლის 31 დეკემბერით დასრულებული წლისათვის
(ლარი)

აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	3 471 909	2 769 337	
არამატერიალური აქტივები	10	0	0	
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 471 909	2 769 337	
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	13	1 037 233	806 366	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14	111 775	236 644	
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	15		1070685	
ფული და ფულის ექვივალენტები	16	514 583	463 976	
სულ მიმდინარე აქტივები		1 663 591	2 577 671	
სულ აქტივები		5 135 500	5 347 008	
მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები				
მფლობელთა კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		0	0	
წინა წლების გაუნაწილებელი მოგება		-----	-----	-----)
საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი				
სულ კაპიტალი		-----	-----	
გრძელვადიანი ვალდებულებები		2 708 950	2 039 795	
სხვა გრძელვადიანი სესხი	17			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2 708 950	2 039 795	
მიმდინარე ვალდებულებები		806 785	984 841	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18			
სულ მიმდინარე ვალდებულებები		806 785	984 841	
სულ მფლობელთა კაპიტალი და ვალდებულებები		-----	-----	

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2022 წლის 30 სექტემბერი

დირექტორი

მთ ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა - განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მზერო“ არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2014 წლის 11 მარტს.

კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი ილურიძის ქუჩა 36

კომპანიის ფაქტური მისამართია: საქრთველო, ქ. თბილისი ლაზოს ქუჩა 1

კომპანიის წილის მფლობელებს წარმოადგენენ:

ზაალიშვილი თეა (პ/ნ 01019034911) 33,30%

ზაალიშვილი ლევანი (პ/ნ 01019002357) 33,40%

ზაალიშვილი გიორგი (პ/ნ 01019017237) 33,30%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ავეჯის მაკომპლექტებელი მასალის რეალიზაცია, დამუშავება.

2. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოხდა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. გასულ პერიოდებში კომპანია არ წარადგენდა ფინანსურ ანგარიშგებას ფასს-ების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, კომპანია არ ფლობს ისეთ აქტივებს და ვალდებულებებს, რომელთა შეფასება უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მეწილეებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია და შესაბამისად აფასებენ, რომ კომპანიას როგორც ფუნქციონირებად საწარმოს აქვს საქმიანობის გაგრძელების უნარი.

კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

კომპანია ახდენს გარკვეულ სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წლებში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

შეფასების ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში („ლარი“)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები:

აქტივების თვითღირებულება გაიანგარიშება აქტივების შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი ფულის ან ფულის ექვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალურ ღირებულების თანხით

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ცვეთა

ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდის, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

ძირითადი საშუალებების ცვეთის თანხა ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მიწა	არ ცვდება
შენობა-მაგებობები	40
მანქანა დანადგარები	3-30
ოფისის აღჭურვილობა	2-15
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-15
სატრანსპორტო საშუალებები	10-20
სხვა ძირითადი საშუალებები	3-15
ხელოვნების ნიმუშები	არ ცვდება
დაუმთავრებელი მშენებლობა	არ ცვდება

ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს გაუფასურების ხარისხს და ადგენს ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება, რომლის შედარება ხდება საბალანსო ღირებულებასთან. გაუფასურების შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მეტია მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება შესაბამის პერიოდის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აღიარების შეწყვეტის შედეგად შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. შედეგი აღიარდება იმ პერიოდის მოგება/ზარალში, რომელშიც ადგილი ქონდა აღიარების შეწყვეტას.

შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან ანაზღაურებად ღირებულების განაწილებას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

არამატერიალური
აქტივები

ჯგუფი
საბუღალტრო პროგრამა

სასარგებლო მომსახურების ვადა
15

არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება აქტივის გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც მისი გამოყენებიდან ან გაყიდვიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა. ცვლილება სააღრიცხვო შეფასებაში აღირიცხება პერსპექტიულად, მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალში.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით

კომპანია წლის განმავლობაში რეგულარულად ახდენს მარაგების შეფასებას გაუფასურების დადგენის მიზნით და შედეგს აღიარებს გაუფასურების ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებში შედის ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები, სხვა ვალდებულებები და სესხები.

ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე და მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს 3 თვემდე დაფარვის ვადით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება მოსალოდნელი შემოსულობების ღირებულების მიხედვით, საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით. მოთხოვნების წმინდა ღირებულებით ასახვისათვის ტარდება მოთხოვნების ანალიზი მათი წარმოშობის ვადების მიხედვით და ერიცხება საექვო ვალების რეზერვი.

მოვალეობის უმრავლესობაზე ფინანსური მდგომარეობის შესახებ საიმედო ინფორმაციის არსებობისა და კომპანიის წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, სავარაუდო ზარალის შეფასება არსებითად განსხვავებული არ იქნება შემდგომში რეალური მოცულობისგან.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით, სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის

სასესხო ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, ხოლო შემდგომ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და ჩაირთვება ფინანსურ ხარჯებში, სასესხო ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულება.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს და ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

სხვა შემოსულობა

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისთვის.

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელთა არ არის დაკავშირებული მის ძირითად საქმიანობასთან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ მოსალოდნელია, რომ ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის ღირებულების მოთხივნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

თანამშრომელთა ხარჯები და მასათან დაკავშირებული შენატანები

ხელფასი, დ^წ სხვა არაფულადი სარგებელი აღიარდება პერიოდის მიხედვით, მაშინ როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას, ხოლო ანაზღაურებადი შვებულებები, მათი ფაქტიური სარგებლობის დროს.

ვინაიდან საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკით მიმდინარე წლის გამოუყენებელი შვებულება არ ანაზღაურდება მომავალ პერიოდებში, არ წარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

საანგარიშო პერიოდის მოვლენები

2019 წლის 10 იანვარს კომპანიამ აიღო გრძელვადიანი სესხი 1100000 \$ 7 %-იანი განაკვეთით, 2029 წლის 10 იანვრამდე, თანხის დაფარვა ხდება შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით, მოლაპარაკებების შედეგად სესხის წლიურმა პროცენტმა განიცადა კორექტირება და ამჟამად შეადგენს 6,2 %-ს, რაც აისახა სესხის დაფარვის გრაფიკში და დაფარვა მოხდება 2028 წლის ნოემბრის თვეში

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

დაბეგვრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

1. ამონაგები

ამონაგები 2022 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2022
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	6 985 286	7 369 091
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	441 437	411 192
ამონაგები ქონების იჯარის გაცემიდან	290 960	317 549
სულ	7 717 683	8 097 832

2. თვითღირებულება

თვითღირებულება 2022 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2022
სასაქონლო მატერიალური მარაგის თვითღირებულება	5 747 935	6 009 442
მომსახურების თვითღირებულება		
სულ	5 747 935	6 009 442

3. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 2022 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2022
შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან		1 072 086
ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებ-ბა		(653 557)
სულ		418 529

4. სხვა საოპერაციო ხარჯები

სხვა საოპერაციო ხარჯები 2022 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2022
მიწოდების ხარჯი	3707	1 673
სატრანსპორტო ხარჯი		
სულ	3 707	1 673

5. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები 2022 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2022
საიჯარო ქირა	13 385	13 332
ბანკის მომსახურების ხარჯები	4 370	5 344
კომუნალური მომსახურების ხარჯები	53 218	51 707
ტელე-საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯები	1 533	1 544
სარემონტო ხარჯი	19 028	7 112
საგადასახადო ხარჯი		

შრომითი ანაზღაურება	396 956	457 097
ცვეთა და ამორტიზაცია	269 481	155 654
მივლინება	0	
სხვა ხარჯები	53 018	44 002
სულ	810 989	735 792

6. ფინანსური ხარჯი

საპროცენტო ხარჯი და უცხოური ვალუტის ცვლილებით გამოწვეული წმინდა მოგება-ზარალი 2022 წლის დასრულებული წლისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2022
საპროცენტო ხარჯი	(208 251)	(148 329)
კურსთაშორის სხვაობა	197 369	258 332
სულ	(10 882)	110 003

7. აქტივების გაუფასურება

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების შეფასების შედეგად, კომპანიას საექვო მოთხოვნების რეზერვის ცვლილება არ განუხორციელებია, რის შედეგადაც ადგილი არ ქონდა გაუფასურების ხარჯს შემოსავალს

8. მარაგები

მარაგები 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31,12,2021	21,12,2022
საქონელი	1 037 233	806 366
სხვა მარაგები	0	
სულ	1 037 233	806 366

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2022
სავაჭრო მოთხოვნა	85 808	236 644
საექვო ვალების რეზერვი		
სხვა მოთხოვნები (მშ გრძელოვადიანი)	25 967	1 070 685
სულ	111 775	1 307 329

10. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2021
ფული სალაროში	8 700	36 230
ფული მიმდინარე საბანკო ამგარიშზე ლარში	490 605	121 738
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	15 278	306 007
სულ	514 583	463 975

12. სესხები

სესხები 2022 წლის 31 დეკემბრისათვის და 2021 წლის 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2021
ბანკის სესხი	2 708 950	2 039 795
საკრედიტო ხაზი		
სულ	2 708 950	2 039 795

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრისათვის და 2021 წლის 31 დეკემბრისათვის შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021	2022
სავაჭრო ვალდებულებები	421 702	806 785
გადასახდელი ხელფასები		
სხვა ვალდებულებები		
სულ	421 702	806 785

14. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 წლის 31 დეკემბრისა და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ნაშთი 31 დეკემბერი	შემოსავალი	დემონტაჟი	კაპიტალიზაცია	გასვლა/რეალიზაცია	ჩამოწერა	ნაშთი 31 დეკემბერი
	2021 წელი						2022 წელი
მიწა	194488						194488
შენობები	1250262						1250262
მანქანა დანადგარები	1816633	3459			997177		822915
ოფისის აღჭურვილობა ავეჯი	152622	0			87414.59		65207.41
ავტომობილი	30000						30000
დაუმთავრებელი მშენებლობა	1197582			78192.85			1275774.85
სულ	4641587						

ისტორიული ღირებულება	ნაშთი 31 დეკემბერი	შემოსავალი	დემონტაჟი	კაპიტალიზაცია	გასვლა/რეალიზაცია	ჩამოწერა	ნაშთი 31 დეკემბერი
	2020 წელი						2021 წელი
მიწა	194488						194488
შენობები	1250262						1250262
მანქანა დანადგარები	1717442	83616		21040	5465		1816633
ოფისის აღჭურვილობა ავეჯი	152670	988			1036		152622
ავტომობილი	30000						30000
დაუმთავრებელი მშენებლობა	972267			225315			1197582
სულ	4317129	84604	0	246355	6501	0	4641587

დაგროვილი ცვეთა	ნაშთი 31 დეკემბერი	შემოსავალი	დემონტაჟი	კაპიტალიზაცია	ნაშთი 31 დეკემბერი
	2021 წელი				2022 წელი
შენობები	249431	49617			299048
მანქანა დანადგარები	888815	67526		371074	585267
ოფისის აღჭურვილობა ავეჯი	91058	7649		64445	34262
ავტომობილი	3114	2900			6014
დაუმთავრებელი მშენებლობა	0				0
სულ	0				

დაგროვილი ცვეთა	ნაშთი 31 დეკემბერი	დარიცხული ცვეთა განმავლობაში	რეალიზებული ცვეთა	გასვლა/ჩამოწერი ს ცვეთა	ნაშთი 31 დეკემბერი
	2020 წელი				2021 წელი
შენობები	199814	49617			249431
მანქანა დანადგარები	682314	210867		4366	888815
ოფისის აღჭურვილობა ავეჯი	70875	21209		1026	91058
ავტომობილი	214	2900			3114
დაუმთავრებელი მშენებლობა					0
სულ	953217	284593	0	5392	1232418

ნარჩენი ღირებულება	ნაშთი 31 დეკემბერი	ნაშთი 31 დეკემბერი
	2021 წელი	2022 წელი
მიწა	194488	194488
შენობები	1000831	951214
მანქანა დანადგარები	927818	237648
ოფისის აღჭურვილობა ავეჯი	61564	30945.41
ავტომობილი	26886	23986
დაუმთავრებელი მშენებლობა	1197582	1275774.85
სულ	3409169	2714056.26

ფინანსური რისკების ფაქტორი

საკრედიტო რისკები

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს საცალო ვაჭრობა, საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოიქმნება მაღაზიაში კორპორატიულ კლიენტებზე შემდგომი გადახდით რეალიზაციით. კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე, ამასთან კომპანიაში შემუშავებულია პოლიტიკა რითიც კონტროლდება საკრედიტო ლიმიტები, რაც უზრუნველყოფს რისკების მისაღებ დონემდე მართვას, ისე რომ შენარჩუნებული იყოს ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისაგან. თუმცა შემდგომში კომპანია გეგმავს რისკების შეფასებიდან გამომდინარედ საექვო მოთხოვნების რეზერვის შექმნას;

საპროცენტო რისკები

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების რეალურ ღირებულებაზე. კომპანიას არ აქვს ცვლად განაკვეთზე დამოკიდებული სესხები და შესაბამისად არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას რისკად.

შენიშვნები

საინვესტიციო ქონება

2023 წელს კომპანიამ დაასრულა საინვესტიციო ობიექტის მშენებლობა, რომელიც გაცემულია გრძელვადიანი იჯარით